საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1042

ქ. თბილისი

13/11/2020

ქარელის მუნიციპალიტეტში, შპს ,,აგრო ალიანსის" „მეფრინველეობის ფერმისა და ფრინველის სასაკლაოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 24-ე პუნქტის, ასევე II დანართის მე-7 პუნქტის 7.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქარელის მუნიციპალიტეტში, შპს ,,აგრო ალიანსის" „მეფრინველეობის ფერმისა და ფრინველის სასაკლაოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N88 (30.10.2020);
2. შპს ,,აგრო ალიანსი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N88 (30.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,აგრო ალიანსს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,აგრო ალიანსის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქარელის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი